დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა მონიავა

წევრები:

ნათია ქოქუაშვილი, ზოგადი განათლების ექსპერტი

ნინო ჭაუჭიძე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი

თინათინ ნანობაშვილი, საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი

ეთერ ხობუა, უცხოური ენების ექსპერტი

ნათია მაკრახიძე, ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი

ცოტნე გვაჯაია, ტექნოლოგიების ექსპერტი

მაია მენაბდე, სახელმწიფო ენის ექსპერტი

ნანი სალია , მათემატიკის ექსპერტი

ედუარდ ნაკაიძე, სპორტის ექსპერტი

ვერა სომხიშვილი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**243570863**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბორითი**
ფაქტობრივი მისამართი	**ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბორითი**
საფოსტო ინდექსი	5600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	boriti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 97 74 86

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 26 0000305140 12/03/2026	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	20-21 აპრილი 2026	

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელი ბორითი, სამი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელი ბორითი, სამი შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელი ბორითი, სამი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ასევე ჩატარდა ონლაინ სამუშაო შეხვედრები ვიზიტის პროცესისა და გასაუბრებების განრიგის დასაზუსტებლად. ექსპერტების მიერ დამატებითაც იყო გამოითხოვილი შესაბამისი მასალები.

შეფასების პროცესი განხორციელდა როგორც ადგილზე ვიზიტის, ისე დისტანციური ჩართულობის ფორმატში. ვიზიტი წარიმართა საქმიან, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის ინფრასტრუქტურა, ინკლუზიური გარემო და პერსონალის დოკუმენტაცია, ასევე ჩატარდა გასაუბრებები დირექციის, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და კათედრების წარმომადგენლებთან, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესებს.

დაწესებულებეის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შსაბამისობის გეგმის წარმოდგენის შედეგად ექსპერტთა მიერ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. *ინდიკატორი N3.4.1.1 დაფიქსირებული იყო ორი ხარვეზი*
    - *შენობის მდგრადობის დასკვნა არ იყო წარმოდგენილი და დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშული დასკვნა. ხარვეზი ამ საკითხთან მიმართებით აღარ არის.*
    - *სკოლის ტერიტორიაზე არ არის უზრუნველყოფილი სრული ვიდეო კონტროლი.* ***სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის სექტემბრის ბოლომდე უზრუნველყოს ვიდეო კონტროლი სკოლის მთელ ტერიტორიაზე.***
2. *ინდიკატორი N3.6.2.1*

    სკოლას არ აქვს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. ***სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 15 სექტემბრამდე, შეიმუშაოს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.***
3. *ინდიკატორი N3.6.3.5.*

    ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა განთავსებული პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში,

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. ამ ეტაპზე სკოლის საიტზე სრულყოფილად არის განთავსებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

4. *ინდიკატორი N2.2.2.3.*

*სკოლას თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იყო საბუნებისმეტყველო ლაორატორიის მოწყობა 2026 წლის 10 დეკემბრისათვის. **ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია: სკოლა, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 10.12.2026 წლამდე, უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისი ლაბორატორიის სივრცის მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას, მათი მოტივაციის ამაღლებასა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.***

აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს 3 რეკომენდაცია

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ----220---------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	*.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის სექტემბრის ბოლომდე უზრუნველყოს ვიდეო კონტროლი სკოლის მთელ ტერიტორიაზე.*
ინდიკატორი N3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 15 სექტემბრამდე, შეიმუშაოს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.3.	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რეკომენდაცია: სკოლა, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 10.12.2026 წლამდე, უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისი ლაბორატორიის სივრცის მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას, მათი მოტივაციის ამაღლებასა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.3.	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რეკომენდაცია: სკოლა, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 10.12.2026 წლამდე, უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისი ლაბორატორიის სივრცის მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს*

	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*მოსწავლეთა პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას, მათი მოტივაციის ამაღლებასა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*

ინდიკატორი N2.1.2.1	***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას***	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:*** *სასურველია ამოქმედდეს საკლუბო წრეები, რომლებიც მოიცავს საბუნებისმეტყველო საგნებს როგორც ერთობლივად, ისე ცალ-ცალკე.* ***<u>უცხო ენები - რჩევა</u>*** *: სასურველია, თუ უცხოური ენების კათედრა შეთანხმდება საგნობრივი კურიკულუმის ერთიან ფორმაზე*
ინდიკატორი N2.1.2.2	***კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს***	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:*** *სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა ინტეგრირების პროცესს, ხოლო შემაჯამებელი დავალებების ტიპები შერჩეული იყოს იმგვარად, რომ მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე.*
ინდიკატორი N2.1.2.3	***კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას***	***უცხო ენები - რჩევა:*** *სასურველია, კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი, დამატებითი ციფრული თუ მატერიალური რესურსი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. (ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებში).*
ინდიკატორი 2.1.2.4	***სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს***	***სახელმწიფო ენა - რჩევა:*** *კარგი იქნება კათედრაზე შეიქმნას დიფერენცირებული მიდგომით მომზადებული დავალებების ერთგვარი ბანკი. სხვადასხვა ტიპის დავალებები შემდეგ გაუადვილებს მასწავლებლებს მოსწავლეებთან მუშაობას.*
ინდიკატორიN 2.1.2.5	***მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს***	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:*** *მნიშვნელოვანია ყველა საგანში როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით (შეფასების კრიტერიუმებში მკაფიოდ უნდა წარმოჩნდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა). ასევე*

		შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობა მოსწავლეთათვის, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ მოლოდინები და საკუთარი პროგრესი. განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი იყოს უფრო კონკრეტული, კონსტრუქციული და დროული, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენება. ***სახელმწიფო ენა - რჩევა:*** *სასურველია, კათედრამ მოამზადოს სამიზნე ცნებებზე მორგებული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სხვა ნიმუშებიც.*
ინდიკატორიN 2.2.1.3	***შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი***	***უცხო ენები - რჩევა:*** *სასურველია, თუ მასწავლებლები სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად დანერგავენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკას.*
ინდიკატორიN 2.2.2.1.	***კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში***	***უცხო ენები - რჩევა:*** *სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.*

333

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას***	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:*** *სასურველია ამოქმედდეს საკლუბო წრეები, რომლებიც მოიცავს საბუნებისმეტყველო საგნებს როგორც ერთობლივად, ისე ცალ-ცალკე.* ***<u>უცხო ენები - რჩევა</u>*** *: სასურველია, თუ უცხოური ენების კათედრა შეთანხმდება საგნობრივი კურიკულუმის ერთიან ფორმაზე.*

		ინგლისური ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩასამატებელია სამიზნე ცნებები, მხოლოდ ქვეცნებებია მოცემული.
ინდიკატორი N2.1.2.2	***კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს***	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:*** *სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა ინტეგრირების პროცესს, ხოლო შემაჯამებელი დავალებების ტიპები შერჩეული იყოს იმგვარად, რომ მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე.*
ინდიკატორი N2.1.2.3	***კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას***	***უცხო ენები - რჩევა:*** *სასურველია, კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი, დამატებითი ციფრული თუ მატერიალური რესურსი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. (ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებში).*
ინდიკატორი 2.1.2.4	***სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს***	***სახელმწიფო ენა - რჩევა:*** *კარგი იქნება კათედრაზე შეიქმნას დიფერენცირებული მიდგომით მომზადებული დავალებების ერთგვარი ბანკი. სხვადასხვა ტიპის დავალებები შემდეგ გაუადვილებს მასწავლებლებს მოსწავლეებთან მუშაობას.*
ინდიკატორიN 2.1.2.5	***მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს***	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:*** *მნიშვნელოვანია ყველა საგანში როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით (შეფასების კრიტერიუმებში მკაფიოდ უნდა წარმოჩნდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა). ასევე შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობა მოსწავლეთათვის, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ მოლოდინები და საკუთარი პროგრესი. განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი იყოს უფრო კონკრეტული, კონსტრუქციული და*

		დროული, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენება. ***სახელმწიფო ენა - რჩევა:*** *სასურველია, კათედრამ მოამზადოს სამიზნე ცნებებზე მორგებული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სხვა ნიმუშებიც.*
ინდიკატორიN 2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***უცხო ენები - რჩევა:*** *სასურველია, თუ მასწავლებლები სასწავლო პროცესში უფრო ატიურად დანერგავენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკას.*
ინდიკატორიN 2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***უცხო ენები - რჩევა:*** *სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი რომლებსაც მასწავლებლბი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.*

XXX

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:*** *სასურველია ამოქმედდეს საკლუბო წრეები, რომლებიც მოიცავს საბუნებისმეტყველო საგნებს როგორც ერთობლივად, ისე ცალ-ცალკე.* ***<u>უცხო ენები - რჩევა</u>*** *: სასურველია, თუ უცხოური ენების კათედრა შეთანხმდება საგნობრივი კურიკულუმის ერთიან ფორმაზე. გერმანულ ენაში წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმით მუშავდება მხოლოდ სამი ცნება, უნდა დამუშავდეს მეოთხე ცნებაც, კულტურათა დიალოგი. პედაგოგებმა ყურადღება გაამახვილონ შესაბამის სვეტებში ინფორმაციის სწორად განთავსებაზე.კერძოდ, გრაფაში ,,საკითხი/*

		საკითხთა კლასტერი“ მითითებულია ,,კონტექსტ- მაგალითები“ და პირიქით.
ინდიკატორი N2.1.2.2	***კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს***	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:*** *სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა ინტეგრირების პროცესს, ხოლო შემაჯამებელი დავალებების ტიპები შერჩეული იყოს იმგვარად, რომ მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე.*
ინდიკატორი N2.1.2.3	***კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას***	***უცხო ენები - რჩევა:*** *სასურველია, კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი, დამატებითი ციფრული თუ მატერიალური რესურსი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. (ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებში).*
ინდიკატორი 2.1.2.4	***სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს***	***სახელმწიფო ენა - რჩევა:*** *კარგი იქნება კათედრაზე შეიქმნას დიფერენცირებული მიდგომით მომზადებული დავალებების ერთგვარი ბანკი. სხვადასხვა ტიპის დავალებები შემდეგ გაუადვილებს მასწავლებლებს მოსწავლეებთან მუშაობას.*
ინდიკატორიN 2.1.2.5	***მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს***	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:*** *მნიშვნელოვანია ყველა საგანში როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით (შეფასების კრიტერიუმებში მკაფიოდ უნდა წარმოჩნდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა). ასევე შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობა მოსწავლეთათვის, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ მოლოდინები და საკუთარი პროგრესი. განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი იყოს უფრო კონკრეტული,*

		კონსტრუქციული და დროული, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენება. ***სახელმწიფო ენა - რჩევა:*** *სასურველია, კათედრამ მოამზადოს სამიზნე ცნებებზე მორგებული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სხვა ნიმუშებიც.*
ინდიკატორი N 2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***უცხო ენები - რჩევა:*** *სასურველია, თუ მასწავლებლები სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად დანერგავენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკას.*
ინდიკატორი N 2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***უცხო ენები - რჩევა:*** *სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულები, რომლებიც ასახავს მისი საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს. აღნიშნული კომპონენტები დეტალურად არის აღწერილი და დეკლარირებული სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც უზრუნველყოფს მათი სისტემურ და მიზანმიმართულ გამოყენებას სასწავლო პროცესში. ამასთანავე, ისინი ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზეც, რაც ზრდის გამჭვირვალობას და დაინტერესებულ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას გაეცნონ სკოლის ძირეულ პრინციპებს.
   სკოლის მისია და ხედვა სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რაც უზრუნველყოფს, რომ სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესი ორიენტირებული იყოს როგორც აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, ისე მოსწავლეთა პიროვნულ, სოციალურ და მოქალაქეობრივ განვითარებაზე. აღნიშნული თანხვედრა ხელს უწყობს სკოლის მიერ დასახული მიზნების ეფექტიან მიღწევას და უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიწოდებას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**
   სკოლას განსაზღვრული აქვს უსაფრთხო, ინკლუზიური და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, რაც აისახება მის ძირითად განვითარების მიმართულებებში. სკოლა არსებული ინფრასტრუქტურისა და დაგეგმილი აქტივობების მეშვეობით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობას მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად.
   სკოლის ფუნქციური სივრცეები - სპორტული დარბაზი, ეზო - ქმნის პირობებს თანამშრომლობისა და აქტიური ურთიერთობისთვის. ეს ხელს უწყობს სოციალური კავშირების გაძლიერებას, მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობას და სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები: N1, 19.12.2024; N2, 18.03.2025; N3, 08.05.2025; N4, 05.06.2025) ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი იყო ორგანიზებული, თანმიმდევრული და მრავალეტაპიანი.

   სამუშაო ჯგუფი მუშაობდა აღნიშნულ საკითხებზე, ხოლო პროცესში უზრუნველყოფილი იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მისიისა და ხედვის დოკუმენტები რამდენჯერმე იქნა გადახედილი და დამუშავებული, რაც მიუთითებს ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე.

   ამასთან, აღსანიშნავია, რომ N4 ოქმში დაწყებულია მუშაობა სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე, რაც ადასტურებს პროცესის ლოგიკურ გაგრძელებას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

   სკოლის მისია, ხედვა და ძირითადი ღირებულებები დეტალურად განიხილებოდა და გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, მათ შორის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. განხილვის პროცესში უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა და მოსაზრებების გათვალისწინება, რაც ხელს უწყობდა ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას.

   მიღებული გადაწყვეტილებები ფორმალიზებულია და დოკუმენტურად დასტურდება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომების შესაბამისი ოქმებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომია. განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

   „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სსიპ დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების შესაბამისად სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია: **სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითის საჯარო სკოლა.** სკოლის სახელი შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სამუშაო ჯგუფის შექმის შესახე ბრძანება N2-073, 24.10.2024.
- სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები: N1, 19.12.2024; N2, 18.03.2025; N3, 08.05.2025; N4, 05.06.2025.
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- https://skolebi.emis.ge/
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლის დირექტორის სკოლის დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის ბრძანება N2-018-ით არის დამტკიცებული.

   მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომლის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი, მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამ წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების, თემისა და სხვა სფეროში ჩართულ მხარეთა პრიორიტეტების, ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს** სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა წარმოდგენილია შემდეგი სტრატეგიული მიზნებით: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; 2. ადამიანური რესურსის განვითარება; 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; 6. მოსწავლეთა მხარდაჭერა; 7. ორგანიზაციული განვითარება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლაში შემუშავებულია 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმის ყველა მიმართულებით ერთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. როგორც სამუშაო ჯგუფის წევრებთან გასაუბრებით დგინდება 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის და SWOT-ანალიზის საფუძველზე იქნა შემუშავებული 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   სკოლის 2025–2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დეტალურად ასახავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და მათ შესაბამის აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი პროცესების მიზანმიმართულ და თანმიმდევრულ განხორციელებას. გეგმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული აქტივობის შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რაც ზრდის მართვის ეფექტიანობას და ამარტივებს პროცესის კოორდინაციას.

   გეგმა რეალისტურია და ეყრდნობა სკოლის არსებულ შესაძლებლობებსა და რესურსებს. ამასთანავე, იგი მოიცავს კონკრეტულ, გაზომვად ინდიკატორებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და პროგრესის მონიტორინგს. დამატებით განსაზღვრულია საჭირო რესურსები - ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური, რაც ხელს უწყობს აქტივობების ეფექტიან განხორციელებას და დასახული მიზნების მიღწევას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ 2026 წლის 26იანვრის ბრძანება N2-018.
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N1, 05.09.2025;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2, 05.09.2026;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-018, 26.01.2026) რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პრინციპებს, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მათი მონიტორინგის წესს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. შემდეგ ხდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. სიტუაციის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. ანალიზის ეტაპზე განისაზღვრება სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე საფრთხეები და შესაძლებლობები. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გათვალისწინებულია სკოლის დირექციის მიერ SWOT ანალიზის შედგენა, რომლის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში უნდა წარედგინოს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული მეთოდოლოგიის შესაბამისად გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგი. 2025-2032 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის სექტემბერში (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2, 05.09.2025), სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად მონიტორინგი უწევს ყოველ მესამე წელს, შესაბამისად 2028 წელს იგეგმება შესრულების მონიტორინგი. ხოლო 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის ნახევარი წლის ანგარიში წარდგენილია 2025 წლის დეკემბერში სამეურვეო საბჭოს წინაშე. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ 2026 წლის ივნისის ბოლოს სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულება, რის საფუძველზეც მოხდება 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში წარდგენილი იყო სამეურვეო საბჭოს, პედსაჭოს წინაშე და გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე http://skolebi.emis.ge/ .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის დირექციასთან და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გათვლისწინებული იყო 2024-2025 სასწავლო წლის გეგმის შესრულების ანგარიში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N2-018, 26.01.2026)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N2, N6.
- http://skolebi.emis.ge/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება: დირექციისაგან, ადმინისტრაციისაგან, ტექნიკური პერსონალისაგან, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოსაგან. სკოლაში მოქმედებს საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სკოლის თითოეული თანამშრომლის შრომითი ვალდებულებები, ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის N2-014 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ძირითადი დადამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები. ვიზიტის დროს აღნიშნულ დოკუმენტში შეტანილი იქნა ცვლილება (ბრძანება N2-031 21.04.2026), თანამშრომელთა არყოფნის შემთხვევაში მათი ფუნქციების შემსრულებელი პირის განსაზღვრის შესახებ. შრომით ხელშეკრულებებში მკაფიოდ არის გაწერილი თითოეული თანამშრომლის (მასწავლებლებლები, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი) უფლება-მოვალეობები და ფუნქციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

..

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული თანამშრომლობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების ეფექტიან მართვას. თითოეული ერთეულის ფუნქციები და როლები განსაზღვრულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქმიანობის თანმიმდევრულობა, ინფორმაციის დროული გაცვლა და საერთო მიზნების მიღწევა.

სკოლის თანამშრომლებთან ჩატარებული გასაუბრებებით დგინდება, რომ პერსონალი კარგად იცნობს საკუთარ ფუნქციებს, პასუხისმგებლობებსა და მოვალეობებს. აღნიშნული ცოდნა ხელს უწყობს სამუშაო პროცესის სწორ ორგანიზებას, პასუხისმგებლობების ეფექტიან გადანაწილებას და გუნდური მუშაობის გაძლიერებას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება სკოლის საერთო საქმიანობის ხარისხზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი(ბრძანება N2-014, 16.01.2026; ბრძანება N2-031 21.04.2026;
- შრომითი ხელშეკრულება;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**
   სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით(დამტკიცებულია 2025 წლის 05 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N2 სხდომის ოქმით), სადაც გაწერილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა წახალისების, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები და წესი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**
   სკოლას შემუშავებული აქვს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდოის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. პერსონალის მოზიდვა ხდება კონკურსის საფუძველზე, რის შემდეგაც თითოეულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ახალ თანამშრომელთან ხელშეკრულების გამოსაცდელი ვადით დადების აუცილებლობას, თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და სხვა. სამუშაოს ხანგრძლივობა, შვებულება, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა დარეგულირებულია შინაგანაწესით და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. დასაქმებულებთან

გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შრომის კოდექსთან. ვიზიტის პერიოდში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ დასაქმებულის სამსახურში არ ან ვერ გამოცხადების შემთხვევაში, მისი ჩანაცვლება ხდება სხვა თანამშრომლით. აღნიშნული საკითხი სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტში არ იყო გათვალისწინებული. ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლის დირექტორის მიერ შეტანილი იქნება ცვლილება (ბრძანება N2-031, 21.04.2026), რაც უზრუნველყოფს პრევენციას. მასწავლებლის შემთხვევაში საათები გადანაწილდება საგნობრივ ჯგუფში შემავალ სხვა მასწავლებლებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში თანამშრომელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექტორი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქმნის საკონკურსო კომისიებს, რომლებშიც ჩართულია მოწვეული სპეციალისტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, პედაგოგთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები, მოწვეული სპეციალისტი და ა.შ). ყველა ვაკანსიას სკოლა აცხადებს teachers.jobs.ge და hr.gov.ge -ზე, სადაც განთავსებულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე დასაქმებულის შერჩევის ეტაპები. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახულია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს და ქმნის/აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს.

ექსპერტების მიერ შესწავლილი ბოლოს ჩატრებული საკონკურსო დოკუმენტაცია:

- ექთნის ვაკანსია https://vacancy.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/97181, ვაკანსიის N97181; ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ N2-010, 13.01.2026; საკონკურსო კომისიის ოქმი N1 20.01.2026; ხელშეკრულება N5-01, 20.01.2026.
- დაწყებითი კლასების მასწავლებლის ვაკანსია https://teacherjobs.ge/86182/ ; საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება N2-050 02.09.2025; საკონკურსო კომისიის ოქმი N1 09.09.2025; დანიშვნის ბრძანება 1/კ-040, 11.09.2025.

აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება აღნიშნული პროცესების შესაბამისობა კანონმდებლობისმოთხოვნებთან.

2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვთ ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას. სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, 25 მასწავლებელი (მათ შორის 22 უფროსი, 3 წამყვანი, 2 უფროსი სპეც. მასწავლებლი), საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მტუკი, ექთანი, დამლაგებელი, დარაჯი. სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის დირექციასთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გუნდური მუშაობის პრინციპს. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობების განაწილებას, სადაც აქტიურად არიან ჩართულნი დირექტორი, კათედრების ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. მსგავსი ფორმატი ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობას, მრავალმხრივი ხედვების გათვალისწინებასა და მართვის ეფექტიანობის გაზრდას.

საკითხის შესწავლის ფარგლებში გაანალიზდა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომების ოქმები(სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები, ინვენტარიზაციის კომისია და ა.შ), რომლებიც ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიალურად და შეთანხმებული მიდგომით. ოქმებში ასახულია განხილული საკითხები, პასუხისმგებელი პირები და დაგეგმილი ნაბიჯები, რაც უზრუნველყოფს პროცესების დოკუმენტირებას, კონტროლსა და შემდგომი მონიტორინგის შესაძლებლობას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის განვითარებას, პასუხისმგებლობის გაზიარებასა და ეფექტიან მენეჯმენტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლა მნიშვნელოვნად აფასებს თანამშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებებს და მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით აქტიურად იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების მექანიზმებს, როგორიცაა მადლობის გამოცხადება, სიგელების გადაცემა და სხვა სახის აღიარება. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს პოზიტიური სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებას, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების წახალისებას და მათი ჩართულობის ზრდას სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლაში დასაქმებული არიან სხვადასხვა სტატუსის მქონე პედაგოგები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ გამოცდილების გაზიარების პროცესში. დირექციის ინიციატივით რეგულარულად ტარდება სამუშაო შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან, სადაც მასწავლებლები განიხილავენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს, იზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, მსჯელობენ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნასა და განვითარებას.

ამასთანავე, სკოლა მნიშვნელობას ანიჭებს როგორც შიდა, ისე გარე წარმატებების აღიარებას - მოსწავლეების და მასწავლებლების მიღწევები საჯაროდ აღინიშნება საერთო შეხვედრებზე, რაც ამაღლებს მოტივაციას, აძლიერებს მხარდაჭერის კულტურას და ხელს უწყობს სკოლის საზოგადოების ერთიანობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი(სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2, 05.09.2025)
- სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი(ბრძანება N2-014, 16.01.2026; ბრძანება N2-031 21.04.2026;
- https://vacancy.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/97181
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება N2-010, 13.01.2026;
- საკონკურსო კომისიის ოქმი N1 20.01.2026;
- ხელშეკრულება N5-01, 20.01.2026.
- https://teacherjobs.ge/86182/

- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება N2-050 02.09.2025;
- საკონკურსო კომისიის ოქმი N1 09.09.2025;
- დანიშვნის ბრძანება 1/კ-040, 11.09.2025.
- თანამშრომელთა პირადი საქმეები (სერტიფიკატები, დიპლომები, ცნობები);
- შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**
   სკოლა ხელს უწყობს პერსონალს პროფესიულ განვითარებას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა.
   საქმიანობის შეფასებისათვის მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი ხშირად ესწრებიან ერთმანეთს წინასწარ დაგეგმილი განრიგის და გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის ბრძანებით(ბრძანება N2-075, 22.12.2026) დამტკიცებული ჰქონდა ადამიანური რესურსების პოლიტიკა ბრძანება N2-014 16.01.2026. დირექტორთან გასაუბრებისას ექსპერტების მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია,

სამეურვეო საბჭოსა და დირექტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად წარედგინა აღნიშნული დოკუმენტი სამეურვეო საბჭოსათვის დასამტკიცებლად.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ სამეურვეო საბჭოს წარუდგინა ადამიანური რესურსების დოკუმენტი, რომლის განხილვის შედეგადაც დაამტკიცეს (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4, 20.04.2026)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო წლის დასასრულს კათედრების ფარგლებში სისტემატურად იმართება მასწავლებელთა ანგარიშგების პროცესი. თითოეული პედაგოგი წარადგენს საკუთარ საქმიანობას, მიღწეულ შედეგებსა და გამოწვევებს, რაც საფუძვლიანად განიხილება კათედრის წევრების მიერ. აღნიშნული ანგარიშების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირდება ის ძირითადი მიმართულებები და საჭიროებები, სადაც მასწავლებლებს ესაჭიროებათ დამატებითი მხარდაჭერა, პროფესიული კონსულტაცია ან გადამზადება. მიღებული შედეგები არ რჩება მხოლოდ შეფასების დონეზე, არამედ გარდაიქმნება კონკრეტულ აქტივობებად და ინიციატივებად, რომლებიც ასახულია კათედრის სამოქმედო გეგმის შესაბამის ნაწილში.

ამასთანავე, სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს არა მხოლოდ პედაგოგების, არამედ სკოლის სხვა თანამშრომლების პროფესიულ განვითარებასაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. კერძოდ, უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. მუდმივად აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ჩატარების შესახებ. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. ბუღალტერმა და დირექტორმა გაიარეს გადამზადება ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ხაზინის მართვის საკითხებზეან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთა**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტერგრაციას სამუშაო გარემოსთან, ყოველთვის მზად არის ახალი თანამშრომლის მისაღებისა და მისი განვითარების ხელშეწყობისათვის.

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება, რომელშიც სკოლის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებები პუნქტ 3.1-შია გაწერილი (სკოლა ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები, მასწავლებელი უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გარემოთი,) რაც ადასტურებს ინდიკატორთან შესაბამისობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

   სკოლის პერსონალთან გასაუბრებისას დასახელებული იქნა მათი პროფესიული ინიციატივების წახალისების მაგალითები. დირექციას აქვს მზაობა, მოუსმინოს თანამშრომელთა ინიციატივებს და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს სათანადო პირობებით, შექმნილია ურთიერთთანამშრომლობითი გარემო, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4, 20.04.2026);
- სკოლის შინაგანაწესი;
- სერტიფიკატები;
- შრომითი ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**
   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია დაწესებულების შიდა შეფასების მექანიზმების დანერგვაა. წესი მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და განვითარებას. ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტურად გამყარებული და განსახორციელებელი მექანიზმები. წარმოდგენილია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლებიც ერთმანეთთან თანხვედრაშია და ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლს, რაც გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით. შეამოწმე - განხორციელებულ აქტივობებს ამოწმებს მონიტორინგის ჯგუფი და შედეგებს გააცნობს სკოლის დირექციას. ასევე შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირების როლსა და პასუხისმგებლობებს. გასაუბრებისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს თანმიმდევრულ ხარისხის მართვის პროცესებს, რაც მოიცავს საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას და მუდმივ სრულყოფას. დაინტერესებული მხარეების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) მონაწილეობა უზრუნველყოფილია, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და მათზე ორიენტირებულ გარემოს შექმნას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში(ბრძანება N2-031, 21.04.2026) სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებაში ჩართულია ყველა ძირითადი სტრუქტურული ერთეული (დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა). მათი კოორდინირებული მუშაობა, კომპეტენციების შესაბამისად, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და შეუფერხებელ წარმართვას. თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებსა და ბრძანებებში მკაფიოდ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში (ბრძანება N2-003, 09.01.2026) დეტალურად არის აღწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები: მმართველობითი (დირექციის, ადმინისტრაციისა და მმართველი ორგანოების ფუნქციები), ძირითადი (სასწავლო პროცესის ორგანიზება, დისციპლინური წარმოება, მოსწავლის ადაპტაცია და მედიაცია) და დამხმარე (ადამიანური რესურსების მართვა, დოკუმენტბრუნვა, შრომითი ურთიერთობები). აღნიშნული პროცესების მკაფიო რეგულირება ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, პროცესების გააზრებასა და მათი ეფექტიანად განხორციელებას.

ამგვარი სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს სკოლაში მართვისა და სწავლების პროცესების უწყვეტობას, თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის N2-075 ბრძანებით დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. აღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს,

სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. აღნიშნული წესი საჯაროდაა ხელმისაწვდომი განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესით, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3(1), 22.10.2025), რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას (დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1, 10.11.2025).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. ქსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც მესამე მუხლი არეგულირებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში(ბრძანება N2-031, 21.04.2026
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (ბრძანება N2-074, 24.12.2025);
- დისციპლინური კომიტეტი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3(1), 22.10.2025)
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1, 10.11.2025.
- შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში (ბრძანება N2-003, 09.01.2026)

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   სკოლის დირექცია, დამრიგებლები და მასწავლებლები სისტემატურად უზრუნველყოფენ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლის სოციალურ ქსელებში რეგულარულად ქვეყნდება სიახლეები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

   მშობელთა კრებები წარმოადგენს აქტიურ საკომუნიკაციო სივრცეს, სადაც მიმდინარეობს აზრთა გაცვლა, რეკომენდაციების გაზიარება და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. ამასთან, სამეურვეო საბჭოს სხდომებზე მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებში, გამოთქვამენ საკუთარ პოზიციებს და ერთვებიან გადაწყვეტილებების განხილვაში.

   მშობლების მხრიდან წარმოდგენილი უკუკავშირი ძირითადად თანამშრომლობაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სასკოლო გარემოს განვითარებას.მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში(მუხლი 3. პუნქტი1.3.) გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

   სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში (სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი) გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი და მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური). დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- მშობლებთან გაფორებული ხელშეკრულებები
- მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო**

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას. შენობაში დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა, აღნიშნული სისტემის მონიტორინგს აწარმოებენ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დანიშნულის სკოლის დირექტორის ბრძანება N1/კ-044. 17.12.2025. თუმცა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი საკმარისი ვიდეო-კამერებით. არსებული რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს სკოლის მთელი ტერიტორიის ხილვადობას, ეზო, სამივე სასწავლო შენობის შესასვლელი, ღია სპორტული მოედანი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა სადაც გათვალისწინებულია სკოლის მიერ 2026 წლის სექტემბრის ბოლომდე ვიდეო კამერების განთავსება სკოლის ტერიტორიაზე ისე, რომ მოხერხდეს ვიდეო კონტროლი სკოლის მთელ ტერიტორიაზე.

სკოლას დამტკიცებული აქვს საგანგებო გეგმა (ბრძანება N2-074, 19.12.2025) და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმების წერილი N MIA 3 25 04247914.)

სკოლას გაკეთებული აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და ასევე მიღებულია პასუხი სახელმწიფო საქვეუწყებო (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტემენტიდან (MIA 5 25 02243183, 17.07.2025) ზედამხედველობის მიწერილობა N581, N584, N585.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. დირექტორმა განმარტა, რომ მიწერილი აქვთ სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან (წერილიMES 5 260000012720, 12.01.2026), გაფორმებულია ხელშეკრულება მომსახურების შესახებ, ექსპერტების მიერ მოხდა შენობების შესწავლა და ელოდებოდნენ დასკვნას.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა N5001984426 (03/04/2026), სადაც აღნიშნულია რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითის საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობა N01, N04, N05 ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

რეკომენდაცია: სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის სექტემბრის ბოლომდე უზრუნველყოს ვიდეო კონტროლი სკოლის მთელ ტერიტორიაზე.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

   სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძანება N2-007, 13.01.2026), რომელიც არეგულირებს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა.

   სკოლის შენობის (დაწყებითი კლასების შენობის) პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი 2022წ. შესაბამისად და აკმაყოფილებს ბრძანებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.

   ამავე ბრძანების საფუძველზე 100დან 500 მოსწავლემდე რეკომენდებულია ექიმი შტატი, თუმცა ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით. რამდენჯერმე კონკურსის გამოცხადების შედეგად ექიმის კადრის არ არსებობის გამო მოხდა საშტატო განრიგში ცვლილების შეტანა. მოქმედი სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად განსაზღვრულია ექთანი, რომელიც სკოლას დასაქმებული ჰყავს კონკურსის საფუძველზე, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. დოკუმენტაციის წარმოება ხდება ელექტრონულად (მოსწავლეთა ბაზები, ინფორმაცია აცრების შესახებ, ალერგიის შესახებ, მშობლების საკონტაქტო ინფორმაცია) და მატერიალურად. ექთანი აფიქსირებს აღრიცხვის ჟურნალში მის მიერ აღმოჩენილი დახმარების ფაქტებს, აწარმოებს ჩანაწერებს და სასწრაფოს გამოძახებას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

   სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი კლასის დამრიგებლებთან ერთად აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს სასკოლო საზოგადოების წევრებთან,

სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის უსაფრთხოების საკითხების გაცნობა ყველა მოსწავლისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალური მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფდა განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს აღნიშნული საკითხების პრიორიტეტულობა. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე.

აღნიშნული საკითხები განხილულია მრჩეველთა საბჭოს მიერ, რაც მრჩეველთა საბჭოს ოქმებშია დაფიქსირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას და შესაბამისი პირობების შექმნას. აღნიშნული მიზნით, დამლაგებლებს დაკისრებული აქვთ როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრის რეგულარული დასუფთავება, რასაც ისინი პასუხისმგებლობით ასრულებენ და უზრუნველყოფენ სასკოლო სივრცის სისუფთავეს.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს სისტემატურად ახორციელებენ სკოლის დირექცია და სკოლის ექიმი. შენობის სანიტარულ კვანძებში განთავსებულია დასუფთავების აღრიცხვის ფურცლები, რაც უზრუნველყოფს პროცესის რეგულარულ კონტროლსა და გამჭვირვალობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

პერსონალური მონაცემების დაცვაზე სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემები ატვირთულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საიტზე https://pdp.sao.ge/ka/content/1012/7877/ssip-xaragaulis-municipalitetis-sofel-boriTis%C2%A0sajaro-skola

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**
   სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლას ემსახურება საგანმანათლებლო რესურსცენტრის IT სპეციალისტი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლის ინტერნეტ-ქსელის ადმინისტრირებას. უზრუნველყოფს სკოლის კომპიუტერულ ბაზაში იმგვარი ანტივირუსების ჩაწერას, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სკოლის ქსელში ჩართული კომპიუტერული ბაზის კიბერბულინგისგან დაცვა. კომპიუტერულ ბაზაში ინახება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შესაბამისად, მის დაცვას უზრუნველყოფს სწორედ შიდა ქსელის გამართულად ფუნქციონირება. სკოლის მრჩეველთა საბჭოსა და დირექციის მიერ ტარდება კამპანია სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებისათვის კიბერბულინგის შესახებ, რათა მაქსიმალურად დაცულნი იყვნენ სკოლაში არსებული ინფორმაციის უკანონოდ გავრცელებისგან.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**
   სკოლის ყველა სართულზე კანონით დადგენილი წესით განთავსებულია დატუმბული ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. მრჩეველთა საბჭო, განიხილავს საკითხებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას; ისმენს და განიხილავს დირექტორის მოხსენებებს აღნიშნულ საკითხებზე, რაც ასახულია მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმებში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება N1/კ-044, 17.12.2025;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმების წერილი N MIA 3 25 04247914;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის წერილი MIA 5 25 02243183, 17.07.2025, ზედამხედველობის მიწერილობა N581, N584, N585;
- წერილი ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს MES 5 260000012720;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, (ბრძანება N 2-007 13.01.2026);
- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება, ოქმები;
- სანიტარული კვანძის დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი;
- საევაკუაციო გეგმა.
- სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა N5001984426 (03/04/2026),

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

   სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 5876.00 კვ.მ. ფართი მიწის ნაკვეთი, რომელზეც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით დგას 6 შენობა (შენობა N1 ფართი 415,95 კვ.მ.- სასწავლო კორპუსი; შენობა N2 ფართი 8,06 კვ.მ; შენობა N3 ფართი 20,80კვ.მ. შენობა N4 189,2კვ.მ.; შენობა N5 1023კვ.მ, შენობა N6 21,82კვ.მ). შენობა N1 (ერთსართულიანი), N4(ერთსართულიანი სპორტული დარბაზი), N5(ორსართულიანი) სასწავლო დანიშნულებისაა. აღნიშნულ სასწავლო შენობებში განთავსებულია საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, რესურს ოთახი, სველი წერტილები. სამასწავლებლო. ბუღალტერია/კანცელარია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლაში ყოველ მოსწავლეზე გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, საკლასო ოთახებში განთავსებულია თითო დაფა. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და წიგნადი ფონდით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

   სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასუბრებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტუქტურის სივრცეები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლაში არსებული ტექნიკა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით და ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია შესაბამის სივრცეებში. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცეები, სკოლას სამივე სართულზე აქვს ფართე დერეფნები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სახვდასხვა აქტივობებისათვის, ფორმალური თუ არაფორმალური.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

   სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (ბრძანება N2-076 23.12.2025), რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკის შიდა სივრცეში. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი ინფორმირებულია ბიბლიოთეკის წესის შესახებ. თუმცა წიგნები არ არის დამუშავებული წესის შესაბამისად, არ არის წიგნების ელექტრონული/მატერიალური ბაზა, შესაბამისად არ ხორციელდება წიგნადი ფონდის აღრიცხვა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. მოსწავლე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. სკოლაში ამ ეტაპზე არ არის შშმ მოსწავლე.

სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო. შშმ პირთათვის სამივე შენობაში გადაადგილება უზრუნველყოფილია. ორსართულიან სასწავლო შენობაში არ არის არც ლიფტი და არც პანდუსი, თუმცა სკოლას აქვს ეტლის გადაადგილების კიბეებზე ამყვანი დანადგარი, რომელიც ხარაგაულის მინიციპალიტეტის მერიისგან მიიღო. აღნიშნულს ადასტურებს მიმოწერა და მიღება ჩაბარების აქტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას აქვს სივრცეები, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, შეხვედრების კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისათვის. აღნიშნულ ცივრცეებში იმართება პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლას აქვს გარე სპორტული მოედნები, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში მონაწილეობის საშუალება. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია დღის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ფართის ფლობის შესახებ(N882023554977; 07/06/2026);
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი ბრძანება N2-076 23.12.2025
- შენობის აზომვითი ნახაზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**
   სკოლის ბალანსზე ირიცხება 20 კომპიუტერი/ლეპტოპი, 2 პროექტორი, 3 პრინტერი. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლა სარგებლობს გამართული ელექტრონული ხელმოწერით. ე.წ.“ტოკენი“-ის საშუალებით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**
   სკოლაში არსებული კომპიუტერებით სარგებლობს სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია (დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი). სკოლაში არსებული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შესაბამისად.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-61, 22/12/2025)
- ტექნიკის მიღება-ჩაბარება;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტები.;
- ვიზუალური დათვალიერებით.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**
   სკოლაში საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება განცხადებები, რომელთაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმატითაც. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი (ბრძანება N2-001 09.01.2026) თუმცა არ არის შესაბამისობაში არსებულ საქმისწარმოებასთან, შესწავლილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში არ მოდის აღნიშნულ წესთან.
   სკოლის მიერ წარმოდენილ არგუმენტირებულ პოზიციაში გათვალისწინებულია აღნიშნული პრობლემის 2026 წლის 15 სექტემბრისათვის მოგვარება.
   რეკომენდაცია: სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის 15 სექტემბრამდე შეიმუშაოს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.
   ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**
   სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის. მოქმედებს eflow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ბრძანებების რეგისტრაცია. Eschool-ის სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის პროცესი, ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და სხვა. ასევე ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განთავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები და ა.შ. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა. სკოლა აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ტექნოლოგიით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სრულყოფილი პროფილი, რომელშიც სრულად არის ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. განხორციელებულია საგნების განაწილება, შედგენილია ცხრილები, არჩეულია სახელმძღვანელოები, დაწესებულება კანონდმებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

   სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი(ბრძანება N2-001, 09.01.2026)
- სკოლის Eschool-ის ბაზა;
- სკოლის eFlow-ს გვერდი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი სკოლების პორტალზე https://skolebi.emis.ge/, ასევე საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ოფიციალური სოციალური ქსელით ახორციელებს. თანამშრომელთა და მოსწავლეთა აქტივობების განთავსებასა და გავრცელება ხდება სოციალური გვერდის საშუალებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დაწესებულება იყენებს ოფიციალურ ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელში სკოლის გვერდს. სოციალურ ქსელში გვერდის დათვალიერებით, დგინდება რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექციასთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისგან სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით (მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, ელექტრონული კომუნიკაცია, სოციალური ქსელები და სხვ.) მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისათვის. აღნიშნული უკუკავშირი სისტემატურად გამოიყენება საჭიროებების იდენტიფიცირების, არსებული ვითარების შეფასებისა და შემდგომი საქმიანობის ეფექტიანად დაგეგმვისთვის.

დაწესებულებამ წარმოადგინა მშობელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი და შესაბამისი ანალიზი, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა: სკოლის ინფრასტრუქტურა, სასკოლო გარემო, თანამშრომლებთან ურთიერთობა, სასწავლო პროცესის ხარისხი და სკოლაში განხორციელებული აქტივობები. ანალიზის საფუძველზე სკოლა ახდენს ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას და გეგმავს შესაბამის რეაგირებას.

უკუკავშირის სისტემური შეგროვება და გამოყენება ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, მართვის პროცესების გამჭვირვალობის ზრდას და გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების წევრთა უფრო ფართო ჩართულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

   სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. სკოლა აქვს ვებ-გვერდი http://skolebi.emis.ge/ , სადაც ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული და აღნიშნული გვერდის ნახვის შესაძლებლობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შესაბამისად, შეუძლიათ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც ხელმისაწვდომია სკოლის შესახებ საჯარო ინფორმაცია. ინფორმაცია სკოლის შესახებ, მოსწავლეთა რაოდენობა, მისამართი, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის სტრუქტურა, პროგრამის სახელწოდებები კლასების მითითებით, ელ.ფოსტა, საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი, ინფორმაცია ინფრასტრუქტურის შესახებ.

   ვიზიტის პერიოდში სკოლას ვებ-გვერდზე არ ჰქონდა წარმოდგენილი წინა წლის ფინანსური 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში, მოსწავლის ჩარიცხვის წესი, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები.

   სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ, ექსპერტთა მიერ კვლავ იქნა შესწავლილი სკოლის ვებ-გვერდი და მასზე განთავსებულია ყველა ის დოკუმენტი რაც სტანდარტით არის განსაზღვრული, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- http://skolebi.emis.ge/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**
   სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს წინაშე წარმოდგენილია 2025 წლის ფინანსური ანგარიში, საბჭოს სხდომაზე განხილული იყო სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიში და 2026 წლის ბიუჯეტი. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა (2025 წლის 19 ნოემბერი), რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მიმდინარეობას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

   სკოლაში დამტკიცებულია აქვს 2026 წლის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა თუ შემცირების ცვილებების შემთხვევაში იგივე პროცედურების უზრუნველყოფით ხდება ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. სკოლის ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ ახალი გეგმის შესამუშავებლად ხდება ბოლო ორი წლის შესყიდვების და ხარჯების ანალიზი. ანალიზის, ბაზრის კვლევისა და სამოქმედო გეგმის შეჯერების საფუძველზე დირექციამ შეიმუშავა 2026 წლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ბიჯეტში ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ახალ ბიუჯეტს და მხოლოდ სამეურვეო საბჭოს მიერ ცვლილების დამტკიცების შემდეგ ხდება შეცვლილი ბიუჯეტით მოქმედება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- 2025 წლის ფინანსური ანგარიში;
- 2026 წლის შესყიდვების გეგმა;
- 2026 წლის ბიუჯეტი;
- 2025 წლის საინვენტარიზაციო კომისიის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**
   სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი აგრეთვე გამოკრულია სკოლის ფოიეში. N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო (ბრძანება N2-005, 13.02.2019; ცვლილება ბრძანებაში N2-022 28.01.2026), რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათთვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა. სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთა**

   მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

   სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. კლასის დამრიგებელი აცნობს მშობელს ხელშეკრულებას და საჭიროების შემთხვევაში განუმარტავს მისთვის გაურკვეველ საკითხს. ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა სკოლის დირექციის ჩართვის. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება (ბრძანება N2-005, 13.02.2019; ცვლილება ბრძანებაში N2-022 28.01.2026);

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე; დოკუმენტი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**
   სკოლის დირექციასთან საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. დირექციასთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იციან საჭიროების შემთხვევაში კლასში 25 მოსწავლეზე მეტის არსებობის შემთხვევაში მოთხოვნა ეგზავნება საგანმანათლებლო რესურსცენტრს, თუმცა ასეთი გამოცდილება სკოლას არ ჰქონია. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება.
   შესწავლილი იქნა სტატუსის შეჩერების რამდენიმე ქეისი. ერთ-ერთი მე-7 კლასის მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების შესახებ (ბრძანება N2-109, 24.11.2023), საფუძველი კლასის დამრიგებლის მოხსენებითი ბარათი N MES 8 23 0001599978

24.11.2023, ასევე 13.10.2023 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით დამრიგებლის/სკოლის მიერ განხორციელებული მოქმედებათა შესახებ ჩანაწერის ფორმა, რომელიც განკუთვნილია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრისათვის წარსადგენად. შესწავლილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება აღნიშნული პროცედურები შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სასწავლო წლის დასასრულს ხდება მეხუთე კლასში გადამსვლელი მოსწავლეების მშობლების გამოკითხვა მეორე ენის არჩევის შესახებ.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

   სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

   სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. ეს ინფორმაცია სკოლას განთავსებული აქვს სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს. წ.;
- ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ;

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმიები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**
   სკოლას აქვს მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-079, 25.12.2025წ.), რომელიც მოიცავს შემდეგს: ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვანი ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღეს; განსახორციელებელი ღონისძიებებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოსთან. მომავალი პირველკლასელები სწავლის დაწყებამდე რამდენჯერმე მიყავთ საბავშვო ბაღის მასწავლებლებს სკოლაში ათვალიერებენ სკოლას, ეცნობიან მასწავლებლებს.

კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ესაუბრება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები სკოლის მოსწავლეს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რის საშუალებითაც მოსწავლეს ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით, ანალოგიურია საშემოდგომო გამოცდების შემთხვევაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

საქმისმწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებით, Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით სკოლაში სხვადასხვა პროექტები ხორციელდება. მოსწავლეები მონაწილეობენ კონკურსებში, ვიქტორინებში მუნიციპალიტეტისა და რეგიონის დონეზე. ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლის გუნდმა მუნიციპალიტეტის დონეზე ჩატარებულ კონკურსში “რა?სად/როდის?” გამარჯვება მოიპოვა. სასკოლო

საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საკმაოდ ბევრი პროექტები ხორციელდება სამოქალაქო და ეკოლოგიური მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მოსწავლეთა ხმის მიღების ერთ-ერთი მექანიზმი სკოლის სამეურვეო საბჭოა. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელს შუძლია გააჟღეროს მოსწავლეთა ინიციატივები ან სკოლას შესთავაზოს აქტუალური პრობლემის გადაჭრის გზები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-079, 25/12/2025წ.)

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ზრუნავს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელებაში. სადამრიგებლო პროგრამებში სწავლების სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია აქტივობები აღნიშნული მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის დირექცია, საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ. დამრიგებლები ატარებენ საუბრებს მომავალი პროფესიების შესახებ და აწვდიან ინფორმაციას უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლამ ყოველთვის იცის კურსდამთავრებულთა საქმიანობის, სწავლის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია. რის საფუძველზეც ხდება მოსწავლეებისათვის შესაბამისი, უფრო საინტერესო და აქტუალური ინფორმაციის მიწოდება. სკოლას აქვს გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, რაც მომავალში უფრო ინტენსიური გახდება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი
- სადამრიგებლო პროგრამები;
- შეხვედრების მასალები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური

მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

   სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

   სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ისგ ჯგუფია შექმნილი, ასევე არის ისგ-ის მონიტორინგის ჯგუფი. სპეცმასწავლელებელმა წარმოადგინეს სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რესურსოთახში მოსწავლეებთან მუშაობის განრიგი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- სასწავლო სასკოლო გეგმა 2025-2026 ს.წ.
- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- ისგ.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე.

   სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტით მომსახურებას. ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის (CON250000309. 18.12.2025) საფუძველზე გამოვლენილი შპს ნიში, რომელსაც ხარაგაულის მმუნიციპალიტეტის მერიასთან აქვს ხელშეკრულება. სკოლის ვალდებულება და პასუხისმგებლობა ტაბელის წარმოება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში გააზრებული აქვთ, რომ მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   ამ ეტაპზე სკოლა დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს, თუმცა დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ გააზრებული აქვთ უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვის აუცილებლობა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მნიშვნელობა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სკოლამ დოკუმენტურად წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, დიფერენცირებული მიდგომები და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილია გამოკითხვის მეთოდით. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესის დროს აღწერილი პროცედურები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩიეს

შემოქმედებითი ბუნების დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების, აგრეთვე მათი ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები კათედრაზე თანამშრომლობენ, იზიარებენ გამოცდილებას და ინტერესებს. სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულები არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- შემოქმედებითი ბუნების დავალებები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების განაცხადი;

- კათედრის სხდომის ოქმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	არმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, პედაგოგიური კოლექტივი სწავლა-სწავლების პროცესში მაქსიმალურად ცდილობს გაითვალისწინოს, რომ თითოეული მოსწავლე უნიკალური და განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით. კურიკულუმი შემუშავებულია იმგვარად, რომ მოსწავლე აქტიურად არის ჩართული პროცესში და ახალი ცოდნა მიეწოდება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის სწავლის სტრატეგიების გაცნობა და ნასწავლის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირება. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მოტივაციის ამაღლებას. შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები და სკოლაში არსებული რესურსები. **რჩევა:** სასურველია ამოქმედდეს საკლუბო წრეები, რომლებიც მოიცავს საბუნებისმეტყველო საგნებს როგორც ერთობლივად, ისე ცალ-ცალკე.

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ - დაწყებით საფეხურზე, „ისტორია“, „გეოგრაფია“, „მოქალაქეობა“, „საქართველოს ისტორია“ - საბაზო და საშუალო საფეხურზე) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ შემოქმედებითი ხასიათის დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში, როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე, ძირითადად, წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და დაგეგმილია მათი ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა ისაუბრეს, კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელების კუთხით გამოცდილებაზე და ასევე გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, სადაც სწორი აქცენტები გააკეთეს საფეხურის გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურის ყველა კლასისათვის. შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები.. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში პედაგოგებს გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ყველა კლასის კურიკულუმში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. პროცესი

	ორიენტირებულია მოსწავლეზე და ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა</u>** : სასურველია თუ უცხოური ენების კათედრა შეთანხმდება საგნობრივი კურიკულუმის ერთიან ფორმაზე. ინგლისური ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩასამატებელია სამიზნე ცნებები, მხოლოდ ქვეცნებებია მოცემული. გერმანული ენაში წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმით მუშავდება მხოლოდ სამი ცნება, უნდა დამუშავდეს მეოთხე ცნებაც, კულტურათა დიალოგი. პედაგოგებმა ყურადღება გაამახვილონ შესაბამის სვეტებში ინფორმაციის სწორად განთავსებაზე.კერძოდ, გრაფაში ,,საკითხი/ საკითხთა კლასტერი“ მითითებულია ,,კონტექსტ- მაგალითები“ და პირიქით.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ყველა კლასში დამუშავებულია სამიზნე ცნებები. პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და შემოქმედებითი დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე და კომპლექსური დავალებების პირობებიდან ჩანს, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოაჩენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით და მათში შესულია არაერთი შემოქმედებითი დავალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნა, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებს. დაგეგმვის პროცესში უპირატესობა მინიჭებულია მოსწავლის საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. შემოთავაზებული სასწავლო აქტივობები მიზანმიმართულია აქტიური სწავლებისკენ, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და ინდივიდუალური განვითარებისთვის საჭირო უნარების განვითარებას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმი სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. იგი შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. კურიკულუმში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომები და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც გულისხმობს სამიზნე ცნებების საშუალებით სასწავლო საკითხებისა და თემების სწავლა-სწავლებასა და მათ რეალიზებას ცხოვრებისეულ სიტუაციებში. გრძელვადიანი მიზნები გაწერილია სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, ხოლო სამიზნე ცნებები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საფეხურებრივ შედეგებს. **რჩევა:** სასურველი მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა ინტეგრირების პროცესს, ხოლო შემაჯამებელი დავალებების ტიპები შერჩეული იყოს იმგვარად, რომ მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზანებისკენ. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენონ ახალი ცოდნა და უნარები. შემოქმედებით დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში და უწევს იაზროვნ კრიტიკულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის წლიური კურიკულუმები დაგეგმილია ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას, ხოლო თემები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ემსახურება ისეთი უნარების დახვეწას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და სხვა.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილი ყველა კურიკულუმი გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით, ეყრდნობა ეროვნული გეგმით განსაზღვრულ თემატიკასა და ტექსტებს. სამივე საფეხურზე შეტანილია ისეთი დავალებები, რომლებიც ემსახურება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ამას ადასტურებს მათ მიერ გადმოგზავნილი არაერთი დავალების სრულყოფილი პირობები და ისიც, რომ ასევე გასაუბრების დროს პედაგოგებმა განიხილეს დავალებები, რომლებზეც იმუშავეს მათმა მოსწავლეებმა, აღწერეს დაწვრილებით დავალებებზე მუშაობის პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები, საკითხები, , რესურსები იძლევა შესაძლებლობა პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კურიკულუმ მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის

	მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და პრიორიტეტებს. იგი ასახავს საბაზისო კომპეტენციებს, საგნობრივი სტანდარტებსა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს ეროვნული მიზნების პრაქტიკაში განხორციელებას. მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული მოკლევადიანი სასწავლო მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმის მიხედვით, გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად რესურსებად გამოიყენება ვიდეო და აუდიომასალები, სხვადასხვა ინტერნეტბმული და ვირტუალური ლაბორატორიები. აღსანიშნავია, რომ აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო რესურსებს, რაც მოსწავლეთა შემოქმედებითობის განვითარებას უწყობს ხელს. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მათ მიერ შერჩეული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ზრდასა და მათ აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ვიდეო რესურსები ინტერნეტ სივრციდან, რომელთაც საგანმანათლებლო შინაარსი გააჩნია, სასწავლო რუკები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები: გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი აუდიო და ვიდეო რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი, დამატებითი ციფრული თუ მატერიალური რესურსი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. (სამივე საფეხურზე ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებში).
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ მრავალფეროვან რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად შმოქმედებითი დავალებებია წარმოდგენილი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმების უმეტესობაში შეტანილია, როგორც ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ისე

	დამატებით ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსები. ასევე დამხმარე ტექსტები ონლაინრესურსების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალ;ური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით.. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. ისინი მრავალფეროვანია, სწავლების განსხვავებულ სტილსა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს. რესურსები ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. განხორციელებული პროექტები ადასტურებს დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკულ გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ სკოლა იყენებს დიაგნოსტიკური წერების პრაქტიკას, რაც, მათი შეფასებით, უკეთ ავლენს მოსწავლეთა მზაობასა და შესაძლებლობებს. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, მასწავლებლები ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ დიფერენცირებულ სწავლებაზე ორიენტირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შერჩევისას, მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს,რომ მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური

	პროგრესის მხარდაჭერას. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცერებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმების ჩარჩოებიდან და გასაუბრებიდან იკვეთება, მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. წარმოდგენილი შუალედური მიზნები კომპლექსური ბუნებისაა, ეს კი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება თემის ირგვლივ. მასწავლებელს კი აქვს დავალებების მოდიფიცირების და ადაპტირების საშუალება. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრა მოსწავლეების საჭიროებებს მუდმივად ითვალისწინებს, აქტივობები და რესურსები განისაზღვრება და ადაპტირდება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე შეიცავს აუცილებელ კომპონენტებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს და გასაუბრებისას სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმაც აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შეესაძლებლობებს, ცდილობენ ისეთი დავალებების შეტანას, რომელთა შესრულებაც ნებისმიერი აკადემიური მოსწრების მოსწავლეს შეეძლება თავისი უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომასაც.

	რჩევა: კარგი იქნება კათედრაზე შეიქმნას დიფერენცირებული მიდგომით მომზადებული დავალებების ერთგვარი ბანკი. სხვადასხვა ტიპის დავალებები შემდეგ გაუადვილებს მასწავლებლებს მოსწავლეებთან მუშაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში იკვეთება ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების მცდელობა, თუმცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე და გრძელვადიანი მიზნები ყოველთვის მკაფიოდ გამიჯნული არ არის. რიგ შემთხვევებში გრძელვადიანი მიზნები მეტწილად იმეორებს მოსწავლის უკვე არსებულ ცოდნასა და უნარებს, რის გამოც სასწავლო პროცესის პროგრესზე ორიენტირებული დაგეგმვა საჭიროებს მეტად დაზუსტებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. სკოლისთვის გამოცდილი პრაქტიკაა სადიაგნოსტიკო შეფასებები - ინდივიდუალური და საერთო საკლასო საჭიროებების გამოვლენისთვის.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ფორმით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ახლდა როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებულია მათი შესაბამისობა მკვიდრ წარმოდგენებთან. **რჩევა:** მნიშვნელოვანია ყველა საგანში როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით (შეფასების კრიტერიუმებში მკაფიოდ უნდა წარმოჩნდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა). ასევე შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობა მოსწავლეთათვის, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ მოლოდინები და საკუთარი პროგრესი. განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი იყოს უფრო კონკრეტული, კონსტრუქციული და დროული, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურზე, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე.

	განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს, როგორც მასწავლებელს, დაინახოს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს, რომ დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები. რაც შეეხება სადიაგნოსტიკო წერებს, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას ჯერ არ აქვს ამის გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2025-2026 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდნენ, როგორც საშინაო და მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები უცხოურ ენებში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე. დასტურდება, რომ სწავლება და შეფასება წარმოადგენს ერთ მთლიან, ერთმანეთისგან განუყოფელ პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ ხელოვნებასა და მუსიკაში საფეხურების შესაბამისად წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, შექმნან თემებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ გადმოაგზავნა როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკები არ არის გაწერილი ცნებების მიხედვით, თუმცა შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. გასაუბრების დროს პედაგოგებმა დეტალურად ახსნეს, როგორ აფასებენ თავიანთ მოსწავლეებს, გაგვაცნეს კონკრეტული მაგალითები როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებების ნიმუშები კომენტარების სახით. **რჩევა**: სასურველია, კათედრამ მოამზადოს სამიზნე ცნებებზე მორგებული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სხვა ნიმუშებიც სამივე საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	ატვირთულ დოკუმენტაციაში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმათარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი

	შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე. ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური პროგრესის და პიროვნული განვითარებისთვის საჭირო უნარების ამოცნობასა და გაძლიერებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლიგია ;
- შეფასების რუბრიკები (ყველა საგნის) როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი (7 კლ. ისტორია - თემა „პრეისტორიული ხანა“, საკითხი „ნეოლითი“; 10 კლ. საქართველოს ისტორია - თემა „საქართველო ქვის და ბრინჯაოს ხანაში“; 9 კლ, გეოგრაფია - თემა „აღმოსავლეთ საქართველო“, საკითხი „ლაგოდეხის ნაკრძალი“. 8კლ, მოქალაქეობა - თემა „ადგილობრივი თვითმმართველობა“, საკითხი „მოქალაქეთა მოაწილეობის ფორმები“.
- ისგ ნიმუშები;

- სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები (პრეზენტაციის, პროექტის, წყვილებში მუშაობის და სხვა);
- შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ამსახველი მასალა, ნაშრომები, შეფასებები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- საგნობრივად ისგ-ს ფორმები;
- სასწავლო პროცესის შეფასება- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა და დოკუმენტაცია;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კათედრის პორთფოლიო;
- ინგლისური ენის კლუბის მასალები;
- პროექტი: "ევროპული ენების დღე";
- კათედრის პირველი სემესტრის ანგარიში;
- პროექტი: „ახალი წლის ტრადიციები";
- აქტივობა; საალდგომო ტრადიციები სხვადასხვა ქვეყნებში;
- ინტეგრირებული პროექტი: მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო;
- პროექტი „Spelling Bee";
- კურიკულუმის გადამუშავების ეტაპები;
- დიფერენცირებული მიდგომებით ჩატარებული გაკვეთილი;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- წარმატების სიგელები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სერთიფიკატი მედია წიგნიერება;
- განხორციელებული პროექტების ბმულები;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის თვითშეფასებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც სკოლა ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესის შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში უწევთ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც ყოველი მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში, დაგეგმვისას ითვალისწინებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებების რეფლექსია, აქტივობები, მოსწავლეთა ნამუშევრები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები, განხორციელებული შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია, დიფერენცირებული მიდგომით განხორციელებული აქტივობები, დაგეგმილი და განხორციელებული საგნობრივი პროექტები, რაც ადასტურებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, რათა მოხდეს მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში.

	კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა პროექტები რეფლექსიებით და მოსწავლეთა ნამუშევრებით, ასევე მათ მიერ შექმნილი სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტები, სასკოლო გამოფენებით და შემოქმედებითი აქტივობებით. აღნიშნულიდან ჩანს, რომ სკოლა და ესთეტიკის კათედრა კურიკულუმის შესაბამისად ახორციელებს სასწავლო და საგაკვეთილო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი მოიცავს სამივე საფეხურს. კურიკულუმი გამართულია, მასში შეტანილია სამიზნე ცნებები, სასწავლო წლის განმავლობაში შესასწავლი თემები, ტექსტები, გაწერილი მრავალფეროვანი რესურსები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ამ კომპონენტების სწორი შერჩევა და განაწილება, კათედრის წევრების მსჯელობა კურიკულუმის დანერგვასა და განვითარებაზე, მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმი არის დაგეგმილი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან ინტერვიუს თანახმად გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (რომელიცაა შიდასასკოლო ფესტივალები და კონფერენციები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა ოპერატიულად ეხმიანება შემხვედრ საჭიროებებს. ცვლილებები სასწავლო პროცესში ხორციელდება როგორც მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციის ჩართულობით. პრაქტიკაში შეინიშნება მზაობა რესურსების, მიდგომებისა და აქტივობების მოქნილი ადაპტაციისთვის, მოსწავლეთა ინტერესების და საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. რაიმე კონკრეტული დოკუმენტი მტკიცებულების სახით არ არის წარმოდგენილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კურიკულუმები, კათედრის ოქმები, თვითშეფასების კითხვარი და სხვა) და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე

	შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი.მასწავლებლები მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარება მათ ზუსტად გაიაზრონ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.ეს კი უზრუნველყოფს შეფასების სიტემის გამჭვირვალობას.წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის

	ვალიდურობას. შეფასების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, შეფასების რუბრიკები) ხელს უწყობს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას, რადგან მოსწავლის მიღწევები ფასდება სხვადასხვა აქტივობისა და ინსტრუმენტის საფუძველზე. **რჩევა:** სასურველია თუ მასწავლებლები სასწავლო პროცესში უფრო ატიურად დანერგავენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ყველა საფეხურზე მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, რაც ინტერვიერების დროსაც დაადასტურეს მასწავლებლებმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკებით. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან.. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითის საჯარო სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების პროცესის შიდა მონიტორინგი ხორციელდება სკოლაში ადმინისტრაციისა და საგნობრივი ჯგუფების მონაწილეობით. პერიოდულად მიმდინარეობს შედეგების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი კორექტირება. ვერიფიკაციის მექანიზმები მოქმედებს პრაქტიკის დონეზე და უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას. ასევე რეგულარულად ეცნობება მშობელს მოსწავლის შეფასების შესახებ. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვას სათანადო წესით. მატერიალური ჟურნალები შენახულია სპეციალურ საცავში. ამჟამად აწარმოებენ ელექტრონულ ჟურნალს. შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციები ინახება მოსწავლის პირად საქმეებში. მოსწავლეთა შეფასების შესახებ სემესტრული და წლიური ინფორმაცია დაცულია და გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში არის მოსწავლის მიერ კლასის საფეხურის დაძლევა/არდაძლევის ბრძანებები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლიგია ;
- შეფასების რუბრიკები (ყველა საგნის) როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი (7 კლ. ისტორია - თემა „პრეისტორიული ხანა“, საკითხი „ნეოლითი“; 10 კლ. საქართველოს ისტორია - თემა „საქართველო ქვის და

ბრინჯაოს ხანაში“; 9 კლ, გეოგრაფია - თემა „აღმოსავლეთ საქართველო“, საკითხი „ლაგოდეხის ნაკრძალი“. 8კლ, მოქალაქეობა - თემა „ადგილობრივი თვითმმართველობა“, საკითხი „მოქალაქეთა მოაწილეობის ფორმები“.

- ისგ ნიმუშები;
- სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები (პრეზენტაციის, პროექტის, წყვილებში მუშაობის და სხვა);
- შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ამსახველი მასალა, ნაშრომები, შეფასებები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- საგნობრივად ისგ-ს ფორმები;
- სასწავლო პროცესის შეფასება- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა და დოკუმენტაცია;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კათედრის პორთფოლიო;
- ინგლისური ენის კლუბის მასალები;
- პროექტი: “ევროპული ენების დღე”;
- კათედრის პირველი სემესტრის ანგარიში;
- პროექტი: „ახალი წლის ტრადიციები“;
- აქტივობა; სააღდგომო ტრადიციები სხვადასხვა ქვეყნებში;
- ინტეგრირებული პროექტი: მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო;
- პროექტი „Spelling Bee”;
- კურიკულუმის გადამუშავების ეტაპები;
- დიფერენცირებული მიდგომებით ჩატარებული გაკვეთილი;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- წარმატების სიგელები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სერთიფიკატი მედია წიგნიერება;
- განხორციელებული პროექტების ბმულები;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში თითოეულ თემასთან მიმართებით განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები და ელექტრონული ბმულები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებად კურიკულუმში ასახულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია თემებთან და საკითხებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

	რჩევა: სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი რომლებსაც მასწავლებლბი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა), რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე დადებითად აისახება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილ კურიკულუმების უმეტესობაში შეტანილია, როგორც ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ისე დამატებით ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსები. ასევე დამხმარე ტექსტები ონლაინრესურსების სახით. გასაუბრებისას პედაგოგებმა დაასახელეს არაერთი რესურსი, რომლებსაც წარმატებით იყენებენ სასურველი შედეგის მისაღწევად, მაგალითად: ტექსტების მიხედვით გადაღებულ ფილმებს, აუდიოტექსტებს, ონლაინსავარჯიშოებს გრამატიკაში... **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში მიზანმიმართულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსების შერჩევა და გამოყენება ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. სასწავლო წლის დაწყებამდე, კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება დამატებითი რესურსების სწავლების ეფექტიანობა და შესაბამისობა, რომელთა გამოყენებაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და

	ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხო ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დამხმარე რესურსები, რომლებიც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, ვალიდურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას ახორციელებს მათემატიკის კათედრა **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და

	მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით. რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რეკომენდაცია:** სკოლა, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 10.12.2026 წლამდე, უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისი ლაბორატორიის სივრცის მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას, მათი მოტივაციის ამაღლებასა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის და ასაკის შესაბამისი ფართი, კომპიუტერები, ლეპტოპები. ეს მატერიალური რესურსი რომელიც სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებშია განთავსებული გამოყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სამივე საფეხურზე. ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება გეოგრაფიული და ისტორიული რუკები. საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად და სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებით, ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ასევე ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სწავლების პროცესში ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის საჭირო ყველა რესურსი, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებასა და მუსიკაში სასწავლო პროცესის სრულყოფილი და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და საგნებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდრტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი არის კანონმდებლობის მოთხოვნასთან შესაბამისად დადასტურებული კომპეტენციებით სერთიფიცირებული მასწავლებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლიგია ;
- შეფასების რუბრიკები (ყველა საგნის) როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი (7 კლ. ისტორია - თემა „პრეისტორიული ხანა“, საკითხი „ნეოლითი“; 10 კლ. საქართველოს ისტორია - თემა „საქართველო ქვის და ბრინჯაოს ხანაში“; 9 კლ, გეოგრაფია - თემა „აღმოსავლეთ საქართველო“, საკითხი „ლაგოდეხის ნაკრძალი“. 8კლ, მოქალაქეობა - თემა „ადგილობრივი თვითმმართველობა“, საკითხი „მოქალაქეთა მოაწილეობის ფორმები“.
- ისგ-ს ნიმუშები;
- სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები (პრეზენტაციის, პროექტის, წყვილებში მუშაობის და სხვა);
- შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ამსახველი მასალა, ნაშრომები, შეფასებები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- საგნობრივად ისგ-ს ფორმები;
- სასწავლო პროცესის შეფასება- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა და დოკუმენტაცია;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კათედრის პორთფოლიო;
- ინგლისური ენის კლუბის მასალები;
- პროექტი: “ევროპული ენების დღე”;
- კათედრის პირველი სემესტრის ანგარიში;

- პროექტი: „ახალი წლის ტრადიციები“;
- აქტივობა; სააღდგომო ტრადიციები სხვადასხვა ქვეყნებში;
- ინტეგრირებული პროექტი: მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო;
- პროექტი „Spelling Bee”;
- კურიკულუმის გადამუშავების ეტაპები;
- დიფერენცირებული მიდგომებით ჩატარებული გაკვეთილი;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- წარმატების სიგელები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სერთიფიკატი მედია წიგნიერება;
- განხორციელებული პროექტების ბმულები;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში და ინტერვიუს დროსაც დადასტურდა მზაობა ახალი სასწავლო წლიდან განახორციელონ მონიტორინგი და შეფასება გაწერილი ვადებისა და წესების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია მონიტორინგის პროცესი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას დაადგინოს პრობლემა და დასახოს მისი გადაჭრის გზები. ამ ეტაპისთვის სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრების მეთოდით. საგაკვეთილო პროცესზე ხდება დასწრება და დაკვირვება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერითა და დახმარებით. ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება საჭიროებები და დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები და საშუალებები. საგაკვეთილო პროცესში დასწრების საფუძველზე ხდება მასწავლებლების მხარდაჭერა, მათთვის კონკრეტული რჩევების მიცემა და სამომავლო განვითარებისთვის გეგმების დასახვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ანგარიშები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- შეფასების რუბრიკები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის შეფასება დაფუძნებულია სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, მასწავლებლები თვალ-ყურს ადევნებენ თითოეული მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესს, ახალი სასწავლო თემის დაწყებამდე ადგენენ მოსწავლის წინარე ცოდნის ხარისხს, აკვირდებიან და ინიშნავენ რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, ასევე რამდენად ახერხებს გააზრებული და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმას საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად, რამდენად შეუძლია მოსწავლეს ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციური გამოყენება. ყოველი გაკვეთილი იგეგმება ისე, რომ თითოეული მოსწავლისთვის ცნობილია რა კრიტერიუმებით აფასებს მასწავლებელი მის სასწავლო აქტივობას. მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას და განმავითარელი შეფასების სხვადასხვა ფორმას. იციან როგორ გამოიყენონ შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები იყენებენ ორი ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელსა და განმავითარებელს. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, ამ ტიპის შეფასებით ადგენენ მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასებით კი ადგენენ თითოეული მოსწავლის სწავლის განვითარების დინამიკას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა მზაობის მოსწავლის არსებობას სკოლაში და მათ შეფასებას ახორციელებს ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. შესასების რუბრიკები ძალიან მრავალფეროვანი და მოსწავლეთა დავალებებს მორგებულია. ასევე, კოლა მუშაობას აფასებს როგორც აკადემიური საათების და აკადემიური მოსწრების მიხედვით, ითვალისწინებს დამატებით მუშაობას, ღონისძიებებს, მშობელთა და მოსწავლეთა განწყობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მასწავლებლები გასაუბრების დროს აღნიშნავენ, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მარავლმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მოწოდებულ დოკუმენტებზე და მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ შეფასების მიზანია მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, რათა ყველა ჩართულ მხარეს: მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს და დირექტორს ჰქონდეს ინფორმაცია თუ რა ტიპის დახმარება ან წახალისება სჭირდება მოსწავლეს, რაც მისცემს მასწავლებლებს იმის შესაძლებლობას, დააკვირდნენ სწავლა-სწავლების ტენდენციებს, როგორც ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე. შეფასების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის მონაცემი: წერითი და ზეპირი დავალებები, პრაქტიკული

სამუშაოები, დაკვირვება და პროექტული აქტივობები. მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და ჩართულობის კომპლექსურ შეფასებას. ასევე, ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- კათედრების ოქმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებლების ანალიზები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომელშიც დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა რამ იმუშავა ან არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გათვალისწინებით. წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოება განიხილავს გასული სასწავლო წლის გამოწვევებს, აფასებს არსებული კურიკულუმების ეფექტიანობას, რა განხორციელდა და როგორ, აჯამებს და სახავს მომავალი წლისთვის საჭირო ცვლილებებს. ყოველი მომდევნო წლის კურიკულუმი ემყარება წინარე გამოცდილებას, სადაც გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების (ამ ეტაპისთვის სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მიხედვით) შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 28.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: